გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 12

2023 წლის 13 იანვარი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის № 108 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით განსაზღვრულია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განსათავსებელი ტექნიკური საშუალების განლაგების ადგილები გარე რეკლამის გავრცელების გეგმით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „იბერიფარმა +"-ს (ს/ნ 405119893) დირექტორის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქ. გორში, ჭავჭავაძის ქ. №10ბ-ში მდებარე აფთიაქის წინ გარე რეკლამის განთავსება.

მითითებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გარე რეკლამის განსათავსებლად გაცემა კი გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული თანხით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის №MIA 9 22 03392472 წერილით გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა თანხმობა ქალაქ გორში, ჭავჭავაძის ქუჩა №10ბ-ის მიმდებარედ გარე განათების საყრდენ ბოძზე სარეკლამო ბანერის განთავსებაზე იმ პირობით, რომ დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ მე-6 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (სარეკლამო ბანერის განსათავსებლად) სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმაში ცვლილების შეტანა, კერძოდ აღნიშნულ გეგმაში ს.კ. 66.45.26.425 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (მდებარე ქ. გორი, ჭავჭავაძის ქუჩა №10ბ-ის მიმდებარედ) დამატება მასზე მდებარე სარეკლამო ბანერის ზომით: (0,6მ X 0,6მ)*2.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქმედ გარე რეკლამის გავრცელების გეგმაში შეტანილია რიგი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც გარე რეკლამის განთავსების მოთხოვნით წლების განმავლობაში გორის მუნიციპალიტეტისთვის არავის მიუმართია, აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გარე რეკლამის გავრცელების გეგმიდან ამოღებულ იქნას შემდეგი მიწის ნაკვეთები: საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის გაჩერებები მდებარე: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირ №107-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.22.044), ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირ №103-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.22.047), ქალაქი გორი, ჭანტურიას ქუჩა №6-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.19.022), ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის 1-ლი კმ-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.06.018), ქალაქი გორი, შინდისის გმირების გამზირი №20-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.15.064), ქალაქი გორი, ჭონქაძის ქუჩა №6-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.15.063), ქალაქი გორი, თბილისის ქუჩა №77-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.09.063), რკინიგზის სადგურზე (არ აქვს საკადასტრო კოდი), ასევე, მიწის ნაკვეთები მდებარე: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილ №8-ის მიმდებარედ (ყოფილი „ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის" მიმდებარედ) (ს/კ 66.45.13.433) და ქალაქი გორი, ქუჩა ჭავჭავაძე, N10-ის მიმდებარედ (ს/კ 66.45.18.569).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის № 108 განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმა

სარეკლამო ბანერები (ზომა: 3მ X 6მ)		
№	მისამართი	ს/კ
1	ქალაქი გორი, სტალინის გამზირ №11-ის მიმდებარედ	66.45.25.261
2	ქალაქი გორი, სტალინის გამზირ №15-ის მიმდებარედ	66.45.18.215
3	ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირ №19-ის მიმდებარედ	66.45.18.217
4	ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირისა და რუსთაველის ქუჩის კვეთის მიმდებარედ	66.45.25.263
5	ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირ №4-ის მიმდებარედ	66.45.26.245
6	ქალაქი გორი, სუხიშვილის ქუჩისა და თოიძის ქუჩის კვეთის მიმდებარედ	66.45.10.107
7	ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილ №6ა-ს მიმდებარედ	66.45.13.353
8	ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტირის მიმდებარედ	66.46.26.000.082
9	ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილ №12-ის მიმდებარედ	66.45.07.198
10	ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილ №9-ის მიმდებარედ	66.45.13.351
11	ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზ. ლიახვის ხიდის მიმდებარედ	66.45.26.287
12	ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზ. ლიახვის ხიდის მიმდებარედ	66.45.17.282
13	ქალაქი გორი, მტკვრის მარჯვენა ნაპირი, სტალინის გამზ. დასაწყისი	66.45.30.121
14	ქალაქი გორი, 26 მაისის სანაპირო	66.45.17.285
15	ქალაქი გორი, გურამიშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარედ(დასასვენებელი პარკის „ახალბაღის" ტერიტორიაზე)	66.45.26.288
16	ქალაქი გორი, გურამიშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარედ(დასასვენებელი პარკის „ახალბაღის" ტერიტორიაზე)	66.45.26.285
17	ქალაქი გორი, გურამიშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარედ(დასასვენებელი პარკის „ახალბაღის" ტერიტორიაზე)	66.45.26.283

18	ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კილომეტრის მიმდებარედ	66.46.26.000.105
19	ქალაქი გორი, გამზ. სტალინი, №18-ის მიმდებარედ	66.45.21.248
20	ქალაქი გორი, გამზ. ჭავჭავაძე, №26-ის მიმდებარედ	66.45.25.363
სარეკლამო ბანერები (ზომა: (0,6მ X 0,6მ)*2)		
№	**მისამართი**	**ს/კ**
1	ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირი №10ბ-ს მიმდებარედ	66.45.26.425